ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F.171
1958

8

აგვისტო

F-9121

თბილისი—1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 531

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 7 ივნისი

კოჯრის № 4 საბავშვო სახლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებანი.

ადგილი აქვს სხვადასხვა მუხლებით თანხების როგორც გადახარჯვას, ისე აუთვისებლობას.

უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1956 წლის 6 დეკემბრის № 1671 ბრძანებით დადგენილი აღსაზრდელთა კვების ნორმები.

საბავშვო სახლში სათანადო ყურადღება არ ექცევა მენიუ-განაწილების წესიერად შედგენის საქმეს. მენიუში ადგილი აქვს პროდუქტების გადასწორების ფაქტებს. 1957 წლის 12 იანვარს მენიუს მიხედვით გამოწერილია 10 ლიტრი რძე; გასავლის ფაქტურაში გადასწორებულია 58 ლიტრად. პასუხისმგებელი მორიგის მიერ ქვაბში ჩაშვებულ პროდუქტებზე არ დგება სათანადო აქტი. ადგილი აქვს თანხების არასწორად ხარჯვას. ნაღდ ანგარიშზე კალავენ ქვაბებს. მიწის დამუშავებასა და არქივის მოწესრიგებაზე გაცემულია 1250 მანეთი, მომწოდებელი ორგანიზაციიდან მიღებულ საქონელზე არ იწერება სათანადო ფაქტურა არტიკულებისა და ნომრების მიხედვით.

საბავშვო სახლიდან გასულ აღსაზრდელ პაპიკინზე გაცემულია 1800 მანეთის რბილი ინვენტარი (ნორმაზე მეტი), მიღებაზე კი აღსაზრდელი პაპიკინი ხელს არ აწერს.

გასავლისა და შემოსავლის ფაქტურები, მენიუ არ იწერება საჭირო რაოდენობით. პროდუქტებისა და რბილი ინვენტარის აღწერები არ ტარდება დადგენილი ვადების მიხედვით. მომწოდებელ ორგანიზაციებთან არ ხდება შედარებები.

ზოგიერთი საბუხჰალტრო წიგნი არ არის ნაწარმოები. საბავ-
შვო სახლმა არასწორად გადარიცხა 735 მანეთი დიასამიძის
ნ. რომანჩენკოს კურსებზე სწავლის გადასახადისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურადღებოდ წარმოებს პროდუქტების ხარჯვის თვიური
ფურცლის შევსება და პროდუქტების ჩამოწერა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე სუსტი ხელმძღვანე-
ლობისათვის საბავშვო სახლის დირექტორს გრ. გრძელიძეს გა-
მოეცხადოს სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნას, რომ
თუ უახლოეს დროში არ გააუმჯობესებს მუშაობას, მოხსნილი იქ-
ნება სამუშაოდან.

2. კოჯრის № 4 საბავშვო სახლის დირექტორმა ამხ. გრ.
გრძელიძემ:

ა) უზრუნველყოს ამ ბრძანებასა და დოკუმენტური რევიზიის
აქტში აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორება;

ბ) აღკვეთოს კვების ნორმების დარღვევა;

გ) ზუსტად დაიცვას ინსტრუქცია მატერიალურ ფასეულობა-
თა აღრიცხვის, შენახვის, გამოყენებისა და შემოწმების შესახებ.

3. მიღებული იქნას ცნობად, რომ კოჯრის № 4 საბავშვო
სახლის ბუხჰალტერი მ. ბოხუა, რომელიც შეთავსებით მუშაობდა
საბავშვო სახლში, განთავისუფლებულია სამუშაოდან.

4. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ და-
წესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) თვალ-
ყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1958 წლის 6 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 551

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 13 ივნისი

პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა (დირექტორი მ. ერისთავი) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ პირველ საკავშირო პიონერ-მოსწავლეთა ექსპედიციაში აქტიური მონაწილეობასათვის „პიონერსკაია პრავდა"-ს დიპლომით დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკის 14 საექსკურსიო რაზმი, და ბავშვთა ცენტრალური-საექსკურსიო ტურისტული სადგური.

ცენტრალურ-საექსკურსიო ტურისტული სადგურის მიერ ჩატარებულ საინტერესო ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია პიონერთა და მოსწავლეთა ესტაფეტა, რომელშიაც 33.500 ბავშვმა მიღო მონაწილეობა, ხოლო 5000-მდე ბავშვმა შეასრულა ნორმა ნორჩი ტურისტის ნიშანზე.

მარტო 1957 წელს ბავშვთა ცენტრალურ-საექსკურსიო ტურისტულ ბაზაში გატარდა 1064 კაცი სსრ კავშირის 42 ქალაქიდან, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ 11 ბაზაში—6046 კაცი 173 ქალაქიდან. მასობრივი ლაშქრობები მოეწყო საგურამო - იალონის ქედზე და თბილისის მიდამოებში, სადაც ნორჩ ტურისტთა რაზმის მიერ აღმოჩენილი და აღწერილი იქნა კარსტული გამოქვაბული. ამ აღმოჩენამ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული ინსტიტუტის მაღალი შეფასება მიიღო. აღნიშნული რაზმი დაჯილდოებულ იქნა გაზეთ „პიონერსკაია პრავდა"-ს დიპლომით და ტურისტული საჩურვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მწერლის მ. გორკის დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით დამუშავდა საექსკურსიო მარშრუტი „გორკის ბიბლიოთეკა და მოღვაწეობა თბილისში". ამ მარშრუტში 2500 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ტრეტიაკოვის გალერეის 100 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა თბილისის სკოლებისათვის. გამოფენის სურათების დათვალიერებისას ჩატარებულ საუბრებს საფუძვლად დაედო ქართველი და რუსი ხალხის ისტორიული მეგობრობა.

ბავშვთა ცენტრალურ - საექსკურსიო ტურისტულ სადგურს მჭიდრო საქმიანი კავშირი აქვს დამყარებული საქართველოს სსრ აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული, სოფლის მეურნეობათა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა, გეოლოგიური ინსტიტუტის მინერალოგიის განყოფილებებთან, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტთან და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალთან.

აღნიშნული სამეცნიერო დაწესებულებები ტურისტულ რაზმებს აძლევენ მოსწავლისათვის დასაძლევ კვლევითი ხასიათის დავალებებს, რომლის მიხედვითაც ნორჩ ტურისტთა რაზმების მიერ შეგროვილი, აღწერილი და წარმოდგენილია ბევრი ძვირფასი მასალა.

ტურისტულ და სამხარეთმცოდნეო საქმეში საუკეთესო მაჩვენებლები იქვს საჩხერის რაიონის ქორეთის საშუალო სკოლას (ხელმძღვანელი ისტორიის მასწავლებელი მ. გოგატიშვილი). ამ სკოლის ნორჩ ტურისტთა რაზმმა მრავალი ტურისტული ლაშქრობა მოაწყო და ლაშქრობაში შეგროვილი ძვირფასი მასალა გამოფინა სკოლასთან შექმნილ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კარგად მუშაობს ზუგდიდის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა (დირექტორი თ. მესხი). ამ ბაზამ მარტო გასულ წელს გაატარა 958 ექსკურსანტი, ბაზას მჭიდრო საქმიანი კავშირი აქვს დამყარებული რესპუბლიკის ბევრ სკოლასთან.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს ქ. თბილისის ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზა (დირექტორი ც. თარგამაძე). 1957 წლის ზაფხულის სეზონში ამ ბაზაში გატარდა ჩვენი ქვეყნის 42 ქალაქიდან წარმოგზავნილი 59 ექსკურსანტთა ჯგუფი, რომლებისთვისაც მოეწყო 317 ექსკურსია და მეგობრობის შვიდი საღამო.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა რესპუბლიკის ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის საქმე. სახალხო განათლების განყოფილებებთან

არსებულ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოებთან დღემდე შექმნილი არაა ტურიზმის სექციები. სუსტად მუშაობენ სტალინირის, ჭიათურის და მცხეთის ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მოსწავლეთა შორის საექსკურსიო-ტურისტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოებთან ჩამოაყალიბონ ტურიზმის სექციები.

ბ) უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 მაისის დადგენილების შესრულება მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით 1958 წელს ლაშქრობების მოწყობის შესახებ;

გ) მითითება მისცენ სკოლებს გამოყონ ტურიზმის ორგანიზატორები.

2. საქართველოსს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე):

ა) ბავშვთა ცენტრალურ ტურისტულ- საექსკურსიო სადგურთან ეთად მოამზადოს და წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად ტურისტის ნიშანზე მოსამზადებლად დამხმარე სახელმძღვანელო და მეთოდური მასალები;

ბ) მოამზადოს საკითხი 1959 წელს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა გეგმაში ტურიზმის ორგანიზატორ ინსტრუქტორთა მოსამზადებელი 10-დღიანი კურსების მოწყობისა და ფიზიკური კულტურის, ბიოლოგიის, წვევამდე მომზადების, ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებელთა გადამზადების სასწავლო გეგმაში ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის საკითხების შეტანის შესახებ.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაიღოს ნორჩ ტურისტთა ლაშქრობების დოკუმენტალური სურათები და შექმნას სათანადო მხატვრული ფილმი.

4 მოსწავლეთა და პიონერთა შორის ტურიზმის დანერგვასა და განვითარებაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორს ამხ. მ. ერისთავს გამოეცხადოს მადლობა და დაჯილდოებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური

კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სა-
პატიო სიგელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შორის ტურიზმის დარგში თვალსაჩინო წარ-
მატებებისათვის და მასობრივი ლაშქრობების შედეგად მოპოებუ-
ლი მასალებით სასკოლო მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის მოწყო-
ბისათვის საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი მიხელ დავითის ძე გოგატიშვილი და-
ჯილდოებულ იქნეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერ-
დე ნიშნით.

6. პიონერ-მოსწავლეთა პირველ საკავშირო ექსპედიციაში აქ-
ტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

სიგელებით:

1. ლილუაშვილი ალექსანდრე—ვანის რაიონის სოფ. შუაგო-
რის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

2. ქეცბაია ზოია—გალის საშუალო სკოლის უფროსი პ/ხელ-
მძღვანელი.

3. საყვარელიძე დავით—თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა სა-
ზანოს საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი.

4. წირღვავა არჩილ—კოჯრის სკოლა-ინტერნატის გეოგრა-
ფიის მასწავლებელი.

5. დარჩიაშვილი მირიან—თელავის მე-3 საშუალო სკოლის
ფიზიკური კულტურის მასწავლებელი.

6. ქებაძე ლალი—გორის რაიონის სოფ. ვარიანის საშ. სკო-
ლის უფროსი პ/ხელმძღვანელი.

7. მესხი თამარ—ზუგდიდის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტუ-
ლი ბაზის დირექტორი.

8. თარგამაძე ცისანა—თბილისის ბავშვთა საექსკურსიო-ტუ-
რისტული ბაზის დირექტორი.

9. ტყეშელაშვილი გიორგი—თბილისის ბავშვთა საექსკურ-
სიო-ტურისტული სადგურის ექსკურსმძღოლი.

10. ლისაგორსკაია ლეია—თბილისის ბავშვთა საექსკურსიო-
ტურისტული სადგურის ექსკურსმძღოლი.

11. მაღალაშვილი ნათელა—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტუ-
ლი სადგურის მეთოდისტი.

12. ქიქოძე ელენე—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სად-
გურის ექსკურსმძღოლი.

13. ფირალიშვილი თინა—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული
სადგურის ექსკურსმძღოლი.

14. ფოთოლაშვილი ვლადიმერ—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის ექსკურსმძღოლი.

15. კობაძე ელიზბარი—ახალციხის პიონერ-მოსწავლეთა სახლის დირექტორი.

7. დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის

ს ა გ ზ უ რ ე ბ ი თ:

1. წითელწყაროს პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.
2. მესტიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.
3. ჭიათურის I და II საშუალო სკოლები (ერთი საგზური).
4. თელავის რაიონის სოფ. რუისპირის და წინანდლის სკოლები (ერთი საგზური).
5. ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ვახანის საშუალო სკოლა.
6. ბათუმის მე 18 და 22-ე საშუალო სკოლები (ერთი საგზური).
7. დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.
8. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგოითის საშუალო სკოლა.
9. ამბროლაურის რაიონის სოფ. სინათლის საშუალო სკოლა
10. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.
11. ხულოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.
12. ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანის საშუალო სკოლა.
13. ბორჯომის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.
14. საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლა.
15. სოხუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი.

8. დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით ნორჩი ტურისტები:

1. ხელაძე მზია—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა ტურიზმის წრის წევრი.
2. ლომიძე ზურაბ—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა ტურიზმის წრის წევრი.
3. ლომთაძე რევაზ—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმის წრის წევრი.
4. ლოლაძე ნანა—თერჯოლის რაიონის სოფ. ჩხარის საშუალო სკოლის მოსწავლე.
5. წიწილაშვილი ზეინაბ—თერჯოლის რაიონის სოფ. ჩხარის საშუალო სკოლის მოსწავლე.
6. მაღლაფერიძე ჯუმბერ—კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტურიზმის წრის წევრი.

7. ელისაშვილი ჯემალ—თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ისტორიის კაბინეტის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბიგვავა ნათელა—ოჩამჩირის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტურიზმის წრის წევრი.

9. ახვლედიანი ეთერი—ახალციხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოსწავლე.

10. გავაშელი ვაჟა—საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მოსწავლე.

11. ბოქოლიშვილი ჰამლეტ—სიღნაღის რაიონის სოფ. წნორის საშუალო სკოლის მოსწავლე.

12. უსუფაშვილი გივი—სიღნაღის რაიონის სოფ. წნორის საშუალო სკოლის მოსწავლე.

13. ზედელაშვილი ჟიული—სიღნაღის რაიონის სოფ. წნორის საშუალო სკოლის მოსწავლე.

14. არტემოვი ანატოლი—ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლე.

15. ცერცვაძე ნათელა—ქ. წულუკიძის I-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე.

16. დავარაშვილი იზო—ხაშურის რაიონის სოფ. სურამის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე.

17. კუპატაძე ტანია—თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა საზანოს საშუალო სკოლის მოსწავლე.

18. ბრეგვაძე ნანული—თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა საზანოს საშუალო სკოლის მოსწავლე.

19. გოგოლაძე ლიანა—ბაკურიანის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე.

20. გოგოტაშვილი მზია—საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მოსწავლე

21 ეზიაშვილი ომარი—საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის მოსწავლე.

22. ტუხაშვილი მირიან—წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის საშუალო სკოლის მოსწავლე.

23. კოვიტიდი კონსტანტინე—ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის საშუალო სკოლის მოსწავლე.

24. დოვლაკიძე ჯემალ—სოფ. თერჯოლის საშუალო სკოლის მოსწავლე.

25. კიკნაძე თინა—ხაშურის რაიონის სოფ. ტეზერის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

25. კიკნაძე ზეინაბ — ხაშურის რაიონის სოფ. ტეზერის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე.

27. მამედოვი ნაბი — სოფ. დმანისის საშუალო სკოლის მოსწავლე.

28. გომელაური დალი — ახმეტის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე.

29. სულაკაური სერგო — თელავის საბავშვო სახლის აღსაზრდელი.

30. უზუნაშვილი ომარ — სოფ. ახმეტის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე.

31. კალიანი ტოგო — სოფ. ახმეტის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე.

32. არევაძე როლანდი — ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ვახანის საშუალო სკოლის მოსწავლე.

33. ანდრიადი ილია — ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის საშუალო სკოლის მოსწავლე.

34. გეგელაშვილი სტეფანე — ქარელის რაიონის სოფ. ხვედურეთის საშუალო სკოლის მოსწავლე.

35. კორძაია მანანა — თბილისის 54-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

36. ხურციძე იუზა — ვანის რაიონის სოფ. შუაგორის საშუალო სკოლის მოსწავლე.

37. არაბული ალუდა — დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოს საშუალო სკოლის მოსწავლე,

38. შათირიშვილი არჩილ — ჩოხატაურის რაიონის სოფ. შუასურების საშუალო სკოლის მოსწავლე.

39. ჯანუყაშვილი ციური — ყაზბეგის რაიონის სოფ. სნოს საშუალო სკოლის მოსწავლე.

40. ბერიძე მიხეილ — შუახევის რაიონის სოფ. უზამბის საშუალო სკოლის მოსწავლე.

41. გურაშვილი ჯემალ — ლაგოდეხის რაიონის სოფ. ატენის 7-წლიანი სკოლის მოსწავლე.

42. ტაბეშაძე სულიკო — მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ხანის საშუალო სკოლის მოსწავლე.

43. ბარათაშვილი ნელი — დუშეთის რაიონის სოფ. ჩარგალის საშუალო სკოლის მოსწავლე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 6 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 560

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 14 ივნისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 7 და 26 მარტის ბრძანებების შესრულების შესახებ

გავეცანი რა მასწავლებელთა აღრიცხვის დარგში დასახულ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 7 და 26 მარტის ბრძანებების შესრულების შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ რიგი ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა საფუძვლიანად გარდაქმნეს პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს ახმეტის რაიონისა და ქ. ჭიათურის განათლების განყოფილებებმა. თუ წინა შემოწმების დროს აღნიშნულ განათლების განყოფილებებსა და მათზე დაქვემდებარებულ სკოლებში მოუწესრიგებელი იყო მასწავლებელთა პირადი საქმეები, ზოგიერთ მასწავლებელს კი სრულიად არ ჰქონდა ასეთები, ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია.

დიდი მუშაობა ჩაატარეს ჭიათურის, ზესტაფონისა და მახარაძის რაიონების განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა. თელავისა და ახმეტის განათლების განყოფილებები სკოლაში მისვლის ყველა შემთხვევას იყენებენ იმისათვის, რომ შეამოწმონ კადრების აღრიცხვის მდგომარეობა და დაეხმარონ შენიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

შემოწმებული განათლების განყოფილებები სწორად იყენებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 ავგისტოს დადგენილებით მინიჭებულ უფლებებს დაწყებითი სკოლების გამგეებისა და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დანიშვნა-განთავისუფლების საქმეში. ვაკანტურ ადგილებზე, გარდა მცირე გამონაკლისისა, როგორც წესი, მასწავლებლებად ინიშნებიან პედაგოგიური განათლებისა და სათანადო სტაჟის მქონე პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა კადრების აღრიცხვის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

განათლების განყოფილებები ნაკლებად იბრძვიან განათლების სამინისტროს 1955 წლის 26 დეკემბრის № 5/7447 ბრძანების შესასრულებლად სკოლების ხელმძღვანელობის სხვადასხვა სპეციალობის მუშაკებით დაკომპლექტების შესახებ. გულრიფშის, გაგრის, ოჩამჩირის, გალისა და გუდაუთის რაიონებსა და ქ. სოხუმში 96 საშუალო და შვიდწლიან სკოლაში არაფერი გაკეთებულა სამინისტროს ამ ღონისძიების გატარებისათვის. პირიქით, 26 სკოლის ხელმძღვანელობა ერთნაირი სპეციალობის მუშაკებით არის დაკომპლექტებული. ასეთივე მდგომარეობაა სხვა შემოწმებულ რაიონებსა და ქალაქებში.

მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილის პირად საქმეებში არ ინახება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები მათი დანიშვნის შესახებ. ხშირ შემთხვევაში კი დანიშვნის ბრძანებები სრულიად არ არსებობს. ზუგდიდის რაიონის 1400 მასწავლებლიდან 425 მასწავლებლის პირად საქმეებში არ აღმოჩნდა განათლების სამინისტროს ბრძანებები. განსაკუთრებით დიდია ასეთი მასწავლებლების რაოდენობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. გულრიფშის რაიონში აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მუშაობს 205 მასწავლებელი, გაგრის რაიონში — 183.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ინსტრუქციის მოთხოვნის შესაბამისად მასწავლებელთა ჯანმრთელობის პერიოდულად შემოწმებას, მათ პირად საქმეებში ჯანმრთელობის შესახებ ცნობების დაცვას. სრულიად არ მოიპოვება ჯანმრთელობის შესახებ ცნობები ორჯონიკიძის და მახარაძის რაიონებისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მასწავლებელთა პირად საქმეებში.

მასწავლებელთა პირად საქმეებში ჯერ კიდევ გვხვდება მოძველებული პირადი აღრიცხვის ბარათები (ზოგი მათგანი ხელმოუწერელი და უთარიღო), ზედმეტი ქაღალდები (განცხადებები მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, ხელწერილები, რომ მომავალში არ დაარღვევენ შრომის დისციპლინას და სხ.). ავტობიოგრაფიების დიდი ნაწილი წარმოადგენს ანკეტური მონაცემების უბრალო ჩამოთვლას და არა მასწავლებლის ცხოვრება-მოღვაწეობის ასახვას; ბევრი მათგანი დაწერილია 8—10 წლის წინათ. ხშირ შემთხვევაში არ მოიპოვება ფოტოსურათები, დახასიათებები, ერთეულ შემთხვევებში განათლების ცენზის დოკუმენტები, შეთავსებით მომუშავეებზე დანიშვნის ბრძანებები და ცნობები იმის შესახებ, რომ მათი შრომის წიგნაკები ინახება ძირითადი მუშაობის ადგილზე. ორჯონიკიძის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებაში დაუმთავრებელია მოლითისა და ბორითის საშუალო და ბაზალეთის, საღანძილის, წყალაფორეთის და წიფის შვიდწლიანი სკოლების მასწავლებელთა პირადი საქმეების წესრიგში მოყვანა. არაფერი გაუკეთებია ამ მიმართებით დ. ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ვ. ლეჟავა). არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მასწავლებელთა კადრების აღრიცხვის საქმე ოჩამჩირის რაიონში. განათლების განყოფილების მიერ ამ საქმეზე გაპიროვნებულია ერთი მუშაკი (რ. სერაფიმოვი), რომელსაც არც კონტროლს უწევენ და არც ეხმარებიან.

განათლების განყოფილებები (გარდა ქ. ქუთაისისა) და სკოლები სწორად არ იყენებენ მასწავლებელთა დასჯა-წახალისების შესახებ არსებულ ლონისძიებებს. ისინი კმაყოფილდებიან სასჯელის დადებით და არ ზრუნავენ მსჯავრდადებული მასწავლებლის გამოსწორებაზე. ზესტაფონის რაიონის ტყლაპივაკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებს ე. ფორჩხიძესა და ც. შავგულიძეს გამოცდების დროს ლიბერალიზმის გამოჩენისათვის განათლების განყოფილებამ გამოუცხადა საყვედური 1952 წლის 4 ივლისის ბრძანებით, მაგრამ დღემდე მათ საყვედური მოხსნილი არ აქვთ, ბრძანება კი ინახება ე. ფორჩხიძის პირად საქმეში, არგვეთის საშუალო სკოლის მასწავლებელ გ. თაბუკაშვილს განათლების განყოფილების მიერვე გამოეცხადა სასტიკი საყვედური 1955 წლის 21 დეკემბრის № 131 ბრძანებით. მაგრამ არ დაყენებულა საკითხი მისთვის სასჯელის მოხსნის შესახებ.

ნაკლოვანებები უფრო მეტად შეინიშნება სკოლებში, რაც აიხსნება განათლების განყოფილებების არასისტემატური და სუსტი კონტროლით.

განათლების განყოფილებებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ერთეულ შემთხვევებს, რომ მასწავლებლები მუდმივ სამუშაოზე ინიშნებიან განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე. ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებაში (გამგე ამხ. ა. რეხვიაშვილი) თითქმის ერთი წელია მუშაობს სასკოლო ინსპექტორად ამხ. აზანაშვილი, რომლის დანიშვნაზე განათლების სამინისტრომ უარი უთხრა განათლების განყოფილებას, იმ მოტივით, რომ ეს თანამდებობა უნდა დაეკავებინა რუსული ენის სპეციალისტს. ოჩამჩირის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ლაბახუამ, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროსათვის შეტყობინების გარეშე, თავისი 1958 წლის 22 იანვრის მომართვით ოჩამჩირის 1-ლ სკოლაში მასწავლებლად აღადგინა ამორალური ქმედების გამო მსჯავრდადებული ს. ლ. ლაგვილავა.

მიუხედავად განათლების სამინისტროს ბრძანების მოთხოვნისა, განათლების განყოფილებებმა გადასცეს სკოლებს სრულად მოუწესრიგებელი შრომის წიგნაკები. ბევრ შემთხვევაში შრომის წიგნაკების ჩანაწერები არ არის დამოწმებული ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიმდინარე წლის 25 აგვისტომდე სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა პირადი საქმეები.

ბ) გაუწიონ სკოლების დირექტორებს სათანადო დახმარება შრომის წიგნაკების შესავსებად საჭირო დოკუმენტების მიღებაში და აწარმოონ სისტემატური კონტროლი შრომის წიგნაკების სრულ წესრიგში მოყვანის უზრუნველსაყოფად იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო დასრულდეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; შემოიღონ წესად, რომ ვაკანტურ ადგილებზე დანიშვნის მსურველებს (გარდა დამწყები მასწავლებლებისა) მოეთხოვოს შრომის წიგნაკების წარმოდგენა;

გ) გადააჯგუფონ საშუალო და შვიდწლიანი სკოლების ხელმძღვანელები ისე, რომ თითოეული სკოლის დირექციის შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა სპეციალობის მუშაკები, რაც უფრო ეფექტურს გახდის, გააძლიერებს მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლსა და დახმარებას.

დ) წელიწადში ორჯერ — იანვარსა და აგვისტოში გაატარონ მასწავლებლები და სკოლის სხვა მუშაკები საექიმო კომისიაში და ცნობები მათი ჯანმრთელობის შესახებ დაიცვან პირად საქმეებში;

ე) სწორად გაატარონ ცხოვრებაში დასჯა-წახალისების ღონისძიებები, არ დაუშვან ამ საქმისადმი ფორმალური მიდგომა;

ვ) გაამახვილონ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მასწავლებელთა პირადი საქმეები უშუალოდ სკოლებში უფრო მოუწესრიგებელია, რის გამოც დაავალონ სკოლებში მივლინებულ სასკოლო ინსპექტორებს, აუცილებლად შეამოწმონ მასწავლებელთა პირადი საქმეების მდგომარეობა.

2. საშუალო და შვიდწლიანი სკოლების დირექტორები და დაწყებითი სკოლების გამგეები სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა პირადი საქმეების

წარმოებას. შრომის წიგნაკების შევსებისა და შენახვის საქმეს-ბულების თანახმად, 5 დღის ვადაში შეუვსონ შრომის წიგნაკები ყველა დამწყებ მუშაკს.

3. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. პ. ი. ჩუკ-ბარმა დაადოს სათანადო სასჯელი ოჩამჩირის რაიონის განათლ-ების განყოფილების გამგეს ამხ. ი. ბ. ლაბახუას მასწავლებელთა პირადი საქმეების მოწესრიგებისადმი უპასუხისმგებლობის გამოჩენისა და ამორალური საქციელის გამო მსჯავრდადებულ მასწ. ს. ლ. ლაგვილავას აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე ოჩამჩირის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებლად აღდგენისათვის.

4. გამოეცხადოს საყვედური დ. ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ვ. ლეჟავას მასწავლებელთა პირადი საქ-მეების მოწესრიგების შესახებ განათლების სამინისტროს მითითებების შეუსრულებლობისათვის.

5. დაევალოს ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს ა/წ. 1 აგვისტომდე გამოავლინონ ის მასწავლებლები, რომლებზეც არ მოიპოვება დანიშვნის სათანადო ბრძანებები, და მათგან V—X კლასებში მომუშავეები წარმოადგინონ განათლებას სამინისტროში დასამტკიცებლად, დაწყებითი კლასების მასწავლებლები კი დაამტკიცონ ადგილზე.

ანალოგიური მუშაობა ამავე ვადებში ჩატარდეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქალ. თბილისში.

6. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ (ამხ. თ. ზახაშვილმა) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას მიმდინარე წლის IV კვარტალში.

7. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებისა და განათლების განყოფილებების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, სკოლების დირექტორების თათბირებზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 13 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 573

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 18 ივნისი

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 მაისის № 358 დადგენილებას 1958/1959 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მომზადების შესახებ

„საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 358
1958 წლის 31 მაისი
ქ. თბილისი

1958—1959 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მომზადების შესახებ

აღინიშნოს, რომ 1958—1959 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მომზადების საქმეში არსებითი ნაკლოვანებანია.

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება სასკოლო მშენებლობის გეგმა. სასკოლო მშენებლობის 4 თვის გეგმა შესრულებულია 83 პროცენტით. ნელი ტემპით წარმოებს სკოლების მშენებლობა ბატარა ცემში, წითელწყაროში, ცხაკაიასა და ახმეტის რაიონულ ცენტრებში, ქალაქ სოხუმსა და თბილისში (კალინინის სახელობის რაიონი), დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტში, სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსებისა—რაიონულ ცენტრ თეთრწყაროში და სოფელ გორდში.

1956—1957 სასწავლო წელს სკოლებიდან მოსწავლეთა მასობრივი განთესვის შედეგად მოსწავლეთა კონტინგენტის 1957—1958

სასწავლო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ვერ შესრულდა 21 ათასი ძოსწავლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძლიერ ჩამორჩება სასკოლო სახელმძღვანელოთა გამოცემა. 118 სახელწოდების სახელმძღვანელოთაგან, რომელთა ტირაჟი 3184 ათასი ცალი უნდა ყოფილიყო და რომლებიც მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის უნდა გამოსულიყო: მიმდინარე წლის 16 მაისისათვის გამოცემულია და წიგნის ვაჭრობას გადაეცა მხოლოდ 47 სახელწოდების სახელმძღვანელო 1,352 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა ვერ უზრუნველყოფს ფერადი რუკების ბეჭდვას გეოგრაფიისა და ისტორიის მთელი რიგი სახელმძღვანელოებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) უზრუნველყონ როგორც პირველ კლასებში მისაღებ, ისევე ადრე განთესილ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 ივნისის № 342 დადგენილებით და მიიღონ ღონისძიებანი სწავლისადმი მათი სრული მიზიდვისათვის;

ბ) მიიღონ საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის განუხრელი შესრულებისათვის;

გაფრთხილება მისცენ სკოლებისა და განათლების ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ გეგმით გათვალისწინებული კლასების გახსნა შეიძლება მოხდეს შევსების დაწესებული ნორმის დაცვის პირობებში ხოლო კლასების გახსნა დამტკიცებული გეგმის გადამეტებით—მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით;

გ) უზრუნველყონ არსებული სკოლა-ინტერნატების დროული და ყოველმხრივ მომზადება და ხალი ინტერნატების გახსნა, შეავსონ ისინი 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა მთელი კონტინგენტით;

დ) სადეკადო ვადაში განიხილონ და დაამტკიცონ სკოლების და საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური და მიმდი-

ნარე რემონტის კალენდარული გეგმა, უზრუნველყონ რემონტის დამთავრება არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 აგვისტოსი;

ამავე ვადაში სავსებით მოამზადონ სკოლებში არსებული ფიზკულტურული დარბაზები და სასპორტო მოედნები;

ე) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასკოლო და სპორტული ინვენტარის შესაკეთებლად, სასწავლო-კაბინეტებისა და სახელოსნოების მოსაწყობად, აგრეთვე მიიღონ ზომები ახალი კაბინეტებისა და სახელოსნოების შესაქმნელად;

ვ) მიმდინარე წლის 25 აგვისტომდე უზრუნველყონ სათბობის (შეშა, ქვანახშირი, მაზუთი) შემოტანა ზამთრის გათბობის სეზონის დაწესებული ნორმის სულ ცოტა 60 პროცენტის ოდენობით, ხოლო დანარჩენი რაოდენობის—არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა;

ზ) უზრუნველყონ სკოლების სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების სანიმუშო დამუშავება და მათი მოვლა მოსწავლეთა ძალებით ზაფხულის პერიოდში;

გამოუყონ სასწავლო-საცდელი მიზნით მიწის ნაკვეთები იმ სკოლებს, რომლებსაც დღემდე არა აქვთ ნაკვეთები;

თ) მიიღონ ღონისძიებანი სასოფლო სკოლების მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილების შესაბამისად;

ი) ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ქობულეთის რაიონის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივას, რომ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად ახალი სასწავლო წლისათვის, სკოლების ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასაყვანად.

უზრუნველყონ საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების, კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობა ამ საქმეში;

კ) მოაწყონ ყველგან ახალი სასწავლო წლისათვისა და საბავშვო დაწესებულებათა მზადების მსვლელობის შემოწმება და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრისათვის;

ლ) ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მზადყოფნის შესამოწმებლად შექმნან კომისია პარტიის რაიკომების (საქალაქო კომიტეტების), მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების, გა-

ნათლების განყოფილებათა, ჯანმრთელობის დაცვის, პროფკავშირთა ორგანოების და ალკკ რაიონული კომიტეტების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

2. სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა კაპიტალური რემონტის დროზე განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეუფერხებლად დააფინანსოს ეს სამუშაოები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სასკოლო მშენებლობას აწარმოებენ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი სკოლების მშენებლობის გეგმის სრული და დროული შესრულებისათვის; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ობიექტებს, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა გადაეცენ საექსპლოატაციოდ.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დააწესოს სისტემატური კონტროლი მშენებლობის გეგმის დროზე შესრულებისადმი და საამშენებლო სამუშაოთა ხარისხისადმი.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე დაამთავროს რესპუბლიკის ყველა სკოლის დაკომპლექტება პედაგოგთა კვალიფიციური კადრებით და უზრუნველყოს ახალგაზრდა სპეციალისტთა სწორი განაწილება;

ბ) ამავე ვადაში უზრუნველყოს სკოლები სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, საკლასო ჟურნალებითა და ყველა სახეობის სასკოლო დოკუმენტაციით;

გ) დააწესოს სისტემატური და მკაცრი კონტროლი იმისადმი, რომ დროზე უზრუნველყონ სკოლები სახელმძღვანელოებით, რვეულებით, ახალი ინვენტარით, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით, სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით და ბიბლიოთეკები შესაბამისი პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააძლიეროს კონტროლი სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა დაწესებულებების სანიტარუ-

ლი მდგომარეობისადმი, უკეთ მოაწყოს მოსწავლეთა სამედიცინო-სანიტარული მომსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უზრუნველყონ სასკოლო ინვენტარის დროზე დამზადება და განათლების ორგანოებისათვის გადაცემა.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს შეისწავლონ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებში სასკოლო ინვენტარის (მერხების, საკლასო დაფების, კარადების, მაგიდებისა და სხვ.) დამზადების საკითხი და ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საქმის გაუმჯობესების შესახებ.

7. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს სახელმძღვანელოთა გამოცემის გეგმის დადგენილ ვადებში შესრულება.

8. დაევალოს თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის დირექტორს (ამხ. პივოვაროვს) მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის გამოუშვას VII და VIII კლასების გეოგრაფიის და IX კლასის ისტორიის სახელმძღვანელოთა ჩანართი რუკები ქართულ ენაზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და ცეკავშირს, სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს სახელმძღვანელოთა შემოტანა რესპუბლიკის სკოლებისათვის, აგრეთვე რვეულების, კალმისტრების, კალმების, ფანქრებისა და სხვა სასწავლო ნივთების შემოტანა საკმაო რაოდენობით.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიიღონ საჭირო ზომები მუშაობის გაუმჯობესებისათვის არსებულ სკოლებში და ახალ სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების გახსნისათვის.

11. დაევალოთ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს, აგრეთვე საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მიიღონ აქტიური მონაწილეობა და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ განათლების ორგანოებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში.

12. დაევალოთ რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული და სა-

ქალაქო გაზეთების რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მზადების მსვლელობა.

13. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 15 ივლისს და 15 აგვისტოს მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუ როგორ მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მუავანაძე	ვ. ჯავახიშვილი

შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასახელებული დადგენილებისა ვბრძანებ:

I. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

1) თითოეულ სკოლამდე და საბავშვო დაწესებულებამდე დაიყვანონ საქართველოს კპც კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება;

2) შეამოწმონ „ახალი—1958/1959 სასწ. წლისათვის საქართველოს სსრ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და ბაღების, სკოლის გარეშე დაწესებულებების, პედაგოგიური-ინსტიტუტებისა და სასწავლებლების მზადების შესახებ" საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1958 წ. 28 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, დასახონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების წარმატებით მომზადების უზრუნველსაყოფად.

3) შემოწმების შედეგებისა და მიღებული ღონისძიებების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წ.

10 ივლისს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშთან ერთად.

II. სამინისტროს სკოლების, საგეგმო-საფინანსო, პედაგოგიური ინსტიტუტების და პედაგოგიური სასწავლებლების სამმართველოების, საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა, კაპიტალური მშენებლობის, მომარაგების და დამხმარე წარმოებების, კადრების განყოფილებათა უფროსებმა (ამხ. ამხ. გ. საყვარელიძემ, ა. კვაჭაძემ, დ. გვერდწითელმა, ვ. ჩინჩალაძემ, ა. ღადუამ, ს. არველაძემ, ი. კვაჭაძემ) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და ობიექტებზე ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 574

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 18 ივნისი

ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა

შ ე ს ა ხ ებ

ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებისა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესაბამისად სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქიმიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებმა:

ა) ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში შექმნან და მოაწყონ ქიმიის კაბინეტები ყველა საშუალო სკოლაში;

ბ) უზრუნველყონ სკოლების და ინსტიტუტების უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება ქიმიური მრეწველობის საწარმოებთან;

გ) მოსახლეობაში ქიმიური ცოდნის მეცნიერულ - ტექნიკურ პროპაგანდაში ფართოდ ჩააბან ქიმიის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და მეცნიერ მუშაკები; ქიმიური ცოდნის ფართოდ გავრცელებისათვის გამოიყენონ სინთეზური ბოჭკოებისაგან და პლასტმასისაგან დამზადებულ ნაკეთობათა გამოფენები;

დ) მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე გაამახვილონ ყურადღება ქიმიური მრეწველობის განვითარების შესახებ სკკპ ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებასა და ამხ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენებაზე, ღრმა ანალიზი გაუკეთონ ამ საგნის სწავლების მდგომარეობას და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მისი არსებითი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა დაამუშაოს საინსტრუქციო-მეთოდური მითითებანი მასწავლებელთათვის მაისის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ამოცანების შესახებ, იმ ვარაუდით, რომ ეს მითითებანი მასწავლებლებმა მიიღონ აგვისტოს თათბირებისათვის.

3. პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებმა მიიღონ საჭირო ზომები ქიმიის კაბინეტებისა და ლაბორატორიების თანანედროვე მოთხოვნილებათა დონეზე აღჭურვისათვის და გადაჭრით გააუმჯობესონ ქიმიის მასწავლებელთა მომზადება.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ა. ასპინძელაშვილი):

ა) ქიმიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზაფხულის პერიოდში მოაწყოს გადასამზადებელი კურსები და უზრუნველყოს მათი ნაყოფიერი მუშაობა;

ბ) უხელმძღვანელოს ისეთი სასწავლო კინოფილმების შექმნას, რომლებიც დაეხმარებიან მასწავლებელს მოსწავლეებისათვის ქიმიური ცოდნის შეყვარების საქმეში.

5. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ გადასინჯოს რესპუბლიკის სკოლების ქიმიის მასწავლებელთა შემადგენლობა, არსებული წესების დაცვით გაათავისუფლოს სამუშაოდან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ქიმიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

6. სკოლისგარეშე დაწესებულებებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლე ახალგაზრდობაში ქიმიური ცოდნის გაღრმავების უზრუნველსაყოფად.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე დაავალოს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობას მოამზადოს და გამოსცეს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ქიმიის ძირითად საკითხებზე მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების სერია.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 13 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 582

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 20 ივნისი

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1958/59 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ 50 საშუალო სკოლაში შემოღებულ იქნას საცდელად წარმოების საფუძვლების სწავლება;

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა შეარჩიონ სკოლები, სადაც შემოღებული იქნება წარმოების საფუძვლების სწავლება (იხილეთ დანართი). შერჩევისას გათვალისწინებულ იქნას სკოლების მტკიცე სასწავლო მატერიალური ბაზა: სრულყოფილი სასწავლო-სახელოსნოები და სასწავლო კაბინეტები, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი და მძლავრი საწარმოო ობიექტები — ქალაქად სამრეწველო საწარმოები, სოფლად კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების როგორც სასწავლო, ისე საწარმოო პრაქტიკის საფუძვლიანად გავლას;

3. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად დაამუშაოს ამ სკოლებისათვის სასწავლო გეგმა და წარმოების საფუძვლების კურსის სასწავლო პროგრამები და წარმოადგინოს ისინი კოლეგიაზე დასამტკიცებლად ა/წ. პირველ ავგისტომდე; სასწავლო გეგმასა და პროგრამებს საფუძვლად დაედოს რსფსრ განათლების სამინისტროს მიერ 1956/57 სასწავლო წელს შემოღებული, ე წ. ახალი სას-

წავლო გეგმა და ამის შესაბამისად შედგენილი ამჟამად მოქმედი წარმოების საფუძვლების კურსის სასწავლო პროგრამები.

4. ნება დაერთოს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებას წარმოების საფუძვლების კურსით გათვალისწინებულ ცალკეულ სპეციალობებში სასწავლო პროგრამების შედგენისათვის მოიწვიოს სათანადო სპეციალისტები და აუნაზღაუროს მათ გაწეული შრომისათვის კუთვნილი ჰონორარი დადგენილი ნორმების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა ახალი სასწავლო გეგმით მომუშავე სკოლების მუშაობის სისტემატური შემოწმებითა და შესწავლით უზრუნველყოს ნაკლოვანებების დროულად გამოვლინება, მოწინავე გამოცდილების გავრცელება-განზოგადება, მანვე წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას ვრცელი ანგარიში ამ დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ 1959 წლის პირველი იანვრისათვის.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მეთოდისტების ადგილზე მივლინებით სისტემატური პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სკოლის ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებს ახალი სასწავლო გეგმითა და პროგრამებით მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. აღნიშნული სკოლების მუშაობის შემოწმების შესახებ დაჯამებული შედეგები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის ბოლოს.

7. სკოლების სამმართველომ და სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ახალი სასწავლო გეგმით მომუშავე სკოლების საქმიანობაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ვ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

ავტონომიური რესპუბლიკების (ოლქის), ქალაქებისა და რაიონებისა, სადაც უნდა გამოიყოს სკოლები, რომლებშიც 1958/59 სასწავლო წლიდან შემოღებული იქნება წარმოების საფუძვლების სწავლება

ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის) ქალაქის, რაიონის დასახელება	გამოყოფილი სკოლების რაოდენობა
1. აფხაზეთის ასსრ	6
2. აჭარის ასსრ	6
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	3
4. ქ. თ ბ ი ლ ი ს ი	12
5. ქ. ქუთაისი	4
6. სამტრედიის რაიონი	1
7. ზუგდიდის რაიონი	2
8. ქ. ფ ო თ ი	1
9. მახარაძის რაიონი	1
10. ლანჩხუთის რაიონი	1
11. ზესტაფონის რაიონი	2
12. ქ. რ უ ს თ ა ვ ი	2
13. გურჯაანის რაიონი	1
14. თელავის რაიონი	1
15. ტყიბულის რაიონი	1
16. ქარელის რაიონი	1
17. ცხაკაიას რაიონი	1
18. წითელწყაროს რაიონი	1
19. ხაშურის რაიონი	1
20. ამბროლაურის რაიონი	1
21. კასპის რაიონი	1
ს უ ლ . . .	50

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 585

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 23 ივნისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

გავეცანი რა გაზეთ „სახალხო განათლების" ფურცლებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსების მუშაობის შესახებ გასულ წელს მოწყობილი დისკუსიის მასალებს, აღვნიშნავ, რომ ინსტიტუტი მუშაობას წარმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ განათლების დარგში დაყენებული ამოცანების შესაბამისად და სერიოზულ დახმარებას უწევს რესპუბლიკის სკოლებს, მასწავლებლებლებსა და განათლების სხვა მუშაკებს იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიკურ-მეთოდიკური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა უკანასკნელ წლებში ქმედითი ღონისძიებანი განახორციელა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე დაყენებული ამოცანების შესაბამისად დახელოვნების კურსების ორგანიზაციული და სასწავლო-მეთოდური მუშაობის გარდასაქმნელად: კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები დაუახლოვა განათლების მუშაკთა კონკრეტულ მოთხოვნებს, პოლიტექნიკური განათლებისა და ცხოვრებასთან დაკავშირების საკითხებს, მეტი ყურადღება მიაქცია ლექტორთა კადრების შერჩევას, საგრძნობლად აამაღლა ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი, მიიღო ზომები კურსების მსმენელთა აქტივობის ამაღლებისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისათვის, სერიოზული ცვლილებანი შეიტანა საკურსო ღონისძიებათა დაგეგმვისა და კურსებზე მსმენელთა გამოწვევის საქმეში, მჭიდრო კონტაქტი დაამყარა განათლების ორგანოებსა და მასწავლებლებ-

თან და ყოველივე ამის შედეგად უზრუნველჰყო 1955—1957 წლებ-
ში არსებული საკურსო ღონისძიებათა კონტინგენტის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

(კურსებზე გამოცხადდა 14,838 მუშაკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ათასისა).

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთ „სახალხო განათლების“ მიერ მოწყობილ დისკუსიას. დისკუსიის მონაწილეთა შენიშვნები და წინადადებანი საგრძნობ დახმარებას გაუწევს ინსტიტუტსა და მის ფილიალებს დახელოვნების კურსების მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში.

დისკუსიის მონაწილეებმა სამართლიანად აღნიშნეს კურსების მუშაობის დროის სიმცირე, რის გამოც ძალზე გადატვირთულია ზოგიერთი (განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების) სასწავლო გეგმები, საკმაო საათები არ ეთმობა სპეციალური საგნების მეთოდიკებს, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის გათვალისწინებულ სემინარებს და მსმენელთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას. ზოგიერთი კურსების სასწავლო პროგრამები გადატვირთულია ზოგადთეორიული ხასიათის საკითხებით, ნაკლები ყურადღება ექცევა აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს; ზოგჯერ კურსებზე ლექტორებად იგზავნებიან სკოლაში მუშაობის არასაკმაო გამოცდილების მქონე მუშაკები, ყველა კურსები სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი საჭირო მეთოდური ლიტერატურით, ხელსაწყო-იარაღებით, მასალებითა და ინვენტარით.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მუშაკთა მიერ დამუშავებული მეთოდური წერილების საგრძნობი ნაწილი გამოქვეყნებული არ არის, რაც ხელს უშლის განათლების მოწინავე მუშაკთა გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას.

ძალზე მცირეა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების ლექტორებისა და V—X კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების პრაქტიკული საათების ჰონორარი, რაც აძნელებს კვალიფიციურ ლექტორთა კადრების გამოყენებას.

ინსტიტუტის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის სასწავლო ხასიათის ექსკურსიების მოწყობისა და მსმენელთა კულტურული მომსახურებისათვის საჭირო თანხები, რის გამოც პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო ხასიათის ექსკურსიებიც კი მსმენელ-

თა ხარჯზე ეწყობა, მსმენელთა უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოებაც, რომ 1000 მანეთზე მეტი ხელფასის მქონე მსმენელს დღიურების ხარჯები სრულებით არ ეძლევა, დანარჩენებს კი ეძლევა ძალიან მცირე თანხა (დღეში 6 მან. და 66 კაპ.).

ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა და ინვენტარი ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას; ზაფხულის კურსებზე მოვლინებულ მასწავლებლებს უხდებათ საკუთარი ლოგინის წამოღება, სათანადოდ არ არის მოგვარებული კურსების მსმენელთა შვებულებისა და კვების საკითხები.

ზოგიერთი განათლების განყოფილება ნაკლებად ზრუნავს განათლების მუშაკთა პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის; საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდება კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა შერჩევას და კურსების მსმენელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას, ადგილი აქვს კურსებზე მსმენელთა დაგვიანებით მივლინება-გამოცხადების შემთხვევებს. ზოგიერთი მუშაკი თავს არიდებს კურსებზე წასვლას, ხოლო განათლების ორგანოები ქმედით ზომებს არ იღებენ მათ წინააღმდეგ.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ასპინძელაშვილს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის: ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინო მასალებით, მეთოდური ლიტერატურით, ინვენტარით შესაფერისი სამეცადინო და საცხოვრებელი ბინებით კურსების მსმენელთა უზრუნველყოფისათვის;

ბ)განათლების მუშაკთა წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების შესაბამისად გადასინჯოს დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები, კურსების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს სპეციალური საგნების მეთოდიკის საკითხებს, მეტი ყურადღება მიაქციოს აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს სკოლაში, გაადიდოს გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და მსმენელთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლექტორთა შერჩევას, კურსებზე ლექტორებად გამოიყენოს სასკოლო მუშაობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები და სკოლის მონინავე პრაქტიკოსი მუშაკები; მტკიცე კონტროლი დააწესოს მათ მუშაობაზე, შეუნელებლად იზრუნოს ლექციებისა და პრაქტიკული მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის. განათლების სამინისტრომ ქმედითი დახმარება გაუწიოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს საკურსო მუშაობაში კვალიფიციურ ლექტორთა კადრების ჩაბმის საქმეში;

დ) მიიღოს ზომები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულებისათვის, სრულ წესრიგში იქონიოს კურსების საქმის წარმოება, უზრუნველყოს კურსები საჭირო დოკუმენტაციით;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საკურსო ღონისძიებათა დაგეგმვას, დროულად აცნობოს განათლების განყოფილებებს კურსების მუშაობის საათები, მუშაობის დრო და ადგილი და კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტის გეგმა, მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატის მუშაკთა დახელოვნებას;

ვ) განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს ცნობები კურსებზე გამოვლინებული სუსტი და სკოლისათვის შეუფერებელი მასწავლებლების შესახებ მათ მიმართ სათანადო ზომების მისაღებად;

ზ) ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ინსტიტუტის ქუთაისის და სოხუმის ფილიალებს საკურსო ღონისძიებათა გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

2. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ზუსტად დაიცვან განათლების სამინისტროს მითითებანი დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა შერჩევის, მომზადებისა და მიღლინების შესახებ; უზრუნველყონ მიცემული გეგმის აუცილებლად შესრულება; მკაცრი ზომები მიიღონ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც თავს აარიდებენ კურსებზე წასვლას, საჭირო შემთხვევაში ასეთი მუშაკების შესახებ განათლების სამინისტროს წინაშე საკითხი დააყენონ პედაგოგიური სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

ბ) განათლების მუშაკთა შერჩევა-დაწინაურების დროს უპირატესობა მიანიჭონ იმ პირებს, რომლებსაც წარმატებით ექნებათ გავლილი დახელოვნების კურსები;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნე-

ბის ინსტიტუტსა და მის ფილიალებს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე გათვალისწინებული კურსების მოწყობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს საჭირო დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს პროფესორ-მასწავლებლებით დახელოვნების კურსების უზრუნველყოფის საქმეში.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაობის სისტემაში შენარჩუნებულ იქნას სასწავლო მუშაობიდან მოუწყვეტელი, სასწავლო მუშაობიდან მოწყვეტილი და საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოქმედი დახელოვნების კურსები, აგრეთვე კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა შერჩევის, მივლინებისა და მსმენელებით კურსების დაკომპლექტების არსებული წესები. კურსების მუშაობის ძირითად ფორმებად კვლავ დატოვებულ იქნას სალექციო და პრაქტიკული მუშაობა, სემინარები კი დამხმარე ფორმად.

5. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ალ. კვაჭაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1959 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს:

ა) საჭირო თანხები კურსების მსმენელთა სასწავლო-მეთოდური ხასიათის ეკსკურსიების მოწყობისა და კულტურული მომსახურებისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მუშაკთა სასწავლო სამეცნიერო მივლინებების მოსაწყობად;

ბ) სათანადო თანხები დახელოვნების კურსების 500 მსმენელის საწოლ-მოწყობილობისათვის საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად;

გ) კურსების თითოეულ მსმენელზე თვიური სასწავლო ხარჯები 5 მანეთის ოდენობით;

დ) საზაფხულო კურსების მუდმივ ბაზებად შერჩეული სკოლებისათვის ცენტრალიზებული თანხებიდან გამოჰყოს დამატებითი ასიგნობანი კაბინეტ-ლაბორატორიების მოსაწყობად და საჭირო ხელსაწყო იარაღების შესაძენად.

6. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს (ამხ. გ. ჩუკბარს) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალს გამოუნახოს შესაფერი შენობა.

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინის-

ტროს წინაშე, რათა სასწავლო მეთოდურმა გამომცემლობა „ცოდნამ" უზრუნველყოს ყოველწლიურად მასწავლებელთა დახელოვნებ ბის ინსტიტუტის ხაზით 2 მეთოდური კრებულის გამოცემა 40 თაბახის მოცულობით.

8. დაევალოს მომარაგებისა და წარმოებათა განყოფილებას (ამხ. ს. არველაძეს):

ა) უზრუნველყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები კურსებისათვის საჭირო ინვენტარითა და მასალებით (ბიუჯეტის ფარგლებში).

ბ) დაისვას საკითხი სათანადო ორგანიზაციების წინაშე კურსების მსმენელთა და თანამშრომელთა კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მითითებული კურსების ადგილებისა და კონტინგენტის მიხედვით.

9. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ. ამასთან მეტი ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტების მიერ დამუშავებული მეთოდური წერილების გამოქვეყნებას.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) იმის გამო, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების ლექტორთა ჰონორარის სიმცირე ძალიან აძნელებს კურსების დაკომპლექტებას კვალიფიციური ლექტორებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კურსების მუშაობაზე, ნება დაგვრთოს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების ლექტორთა ჰონორარი გავუთანაბროთ V—X კლასების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების ლექტორთა ჰონორარს;

ბ) პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით პრაქტიკული მუშაობის ცოდნა-ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღების საქმეში მასწავლებლებისათვის საჭირო დახმარების უზრუნველსაყოფად და საკურსო მუშაობაში კვალიფიციურ ლექტორ-მასწავლებელთა მოზიდვისათვის ნება დაგვრთოს კურსებზე ჩატარებული პრაქტიკული მუშაობის ერთი საათის ჰონორარი განისაზღვროს 15 მანეთით.

გ) კურსების მსმენელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ნება დაგვრთოს, რათა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილი კურსების ყველა მსმენელს (ხელფასის გაურჩევლად) დღიურების ხარჯების სახით მიეცეს დღე-

ში 20 მანეთი, ხოლო კურსებზე მივლინებულ ლექტორს აუნაზღაურდეს დღიურების ხარჯები მისი ძირითადი სამუშაოს თვალსაზრ ხელფასის მიხედვით.

11. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას განათლების განყოფილებებთან არსებულ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, სკოლის ხელმძღვანელთა რაიონულ (საქალაქო) თათბირებზე და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

12. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 589

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 24 ივნისი

საქართველოს სსრ სკოლებსა და და საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების კომპლექსური გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. 1958 წლის ბოლომდე უზრუნველყონ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ყველა იმ ბავშვისა და მოზარდის მიმართ, რომლებიც ამას საჭიროებენ; ღრმა სამედიცინო შემოწმების შედეგები გააცნონ მშობლებსა და მასწავლებლებს.

2. ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით გაატარონ საჭირო ღონისძიებები მასწავლებლებისა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის დარგში.

3. გააძლიერონ კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ჰიგიენის საკითხების სწავლებაზე.

4. მიაღწიონ სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სკოლა-ინტერნატებში, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სავსებით გაითვალისწინებს ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს.

5. უზრუნველყონ ყველა ბავშვისა და მოზარდის ჩაბმა ფიზიკური აღზრდის ამა თუ იმ სახეობაში ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით; გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ყველა სკოლისა და საბავშვო დაწესებულების კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით უზრუნველსაყოფად.

6. საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები უზრუნველყონ შესაფერისი კვების ბლოკით და საბავშვო სრულფასოვანი კვებით; მიაღწიონ ყველა სკოლაში მოსწავლეთა ცხელი საუზმით უზრუნველყოფას.

7. გააძლიერონ ღონისძიებანი ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების სანიტარული კეთილმოწყობისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სისუფთავისა და წესრიგის დაცვას, გამწვანებას, სათამაშო და სპორტული მოედნების მოწყობას.

8. ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების ნაგებობათა მშენებლობისას დაიცვან სასარგებლო ფართობის სანიტარული ნორმები.

II. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ დაიწყოს ექსპერიმენტული სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობათა მშენებლობა საქართველოს სსრ კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ამასთან პროექტის შემუშავებაში ფართო მონაწილეობა მიაღებინოს პრაქტიკოს მასწავლებლებსა და ექიმებს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი—**გ. ნ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ბ. ნ. ჯიბლაძე
ქ. თბილისი, 1958 წლის 12 მაისი.

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და შანქანაზე წერის რესპუბლიკურ კურსებზე გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ

I. სტენოგრაფიის განყოფილება

საორგანიზაციო ნაწილი

1. საგამოცდო კომისია შედგება დირექტორის ან რომელიმე მასწავლებლის (თავმჯდომარე), სათანადო საგნის, აგრეთვე ენის მასწავლებლისა და ასისტენტისაგან, რომელიც ინიშნება სტენოგრაფიის მასწავლებელთაგან.

2. გამოსაშვებ გამოცდებზე სტენოგრაფიაში მოსწავლეები დაიშვებიან საგამოცდო სისწრაფის ჩათვლისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

3. გამოცდები უნდა ჩატარდეს ტექსტების ჩაწერასა და დაშიფვრაში პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე, ყველა სისწრაფეზე სამწუთიანი სხვადასხვა შინაარსის ორი ტექსტის კარნახით.

4. სტენოგრაფიაში უმაღლესი კვალიფიკაციის მისანიჭებლად ჩატარდება შემდეგი გამოცდები:

ა) რუსულ სექტორზე კარნახით ჩაწერა წუთში 125, ხოლო ქართულ სექტორზე 115 სიტყვის სისწრაფით.

ბ) ორი ორატორის სიტყვის ჩაწერა, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიურ თემაზე, მეორე—ლიტერატურაზე.

ორი ორატორის სიტყვის ჩაწერაში გამოცდის წესი შემდეგია:

თვითეული ორატორის სიტყვის ჩასაწერად გამოიყოფა ცალკე დღე. ორატორი ლაპარაკობს განუწყვეტლივ ათი წუთის განმავლობაში. გამოსაცდელებთან ერთდროულად ორატორის სიტყვის სტენოგრამას აკეთებს უმაღლესი კვალიფიკაციის ორი გამოცდილი სტენოგრაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსაცდელებს მოეთხოვებათ ორატორების სიტყვის სიტყვა-სიტყვით ჩაწერა და ამოშიფვრა.

სტენოგრამის სტილისტიკურად დამუშავების ჩვევების შემოწმების მიზნით, გამოსაცდელებმა სტილისტიკურად შესასწორებელ წინადადებებში სიტყვა-სიტყვით ჩაწერილი ტექსტის ვვერდით ფრჩხილებში უნდა ჩაწერონ რედაქტირებული ვარიანტი.

5. წერითი სამუშაოებისათვის საგამოცდო ტექსტები შეირჩევა სტენოგრაფიის კურსების უფროსი მასწავლებლის მიერ და დასამტკიცებლად გადაეცემა განათლების სამინისტროს. დაბეჭდილ კონვერტში მოთავსებული დამტკიცებული ტექსტები დაუბრუნდება კურსებს არაუგვიანეს სამი დღისა საგამოცდო სესიამდე და გადაეცემა საგამოცდო კომისიას ერთი საათით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

სისწრაფეზე ყველა გამოცდისათვის შერჩეულ უნდა იქნეს სამი ტექსტი: ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო. სათადარიგო ტექსტის კარნახი მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ერთ-ერთი ტექსტის კარნახი დარღვეული იყო რაიმე მიზეზით (მაგალითად, მოკარნახის მიერ საკარნახოდ გამოყოფილი ვადის გადაცილება).

ჯგუფებში, რომლებშიც ერთდროულად ტარდება გამოცდა, ნებადართულია ერთი და იგივე საგამოცდო ტექსტის კარნახი.

6. წერითი გამოცდისათვის თვითეულ გამოსაცდელს ეძლევა ხაზიანი ქაღალდი კურსების შტამპით.

ქაღალდის სატიტულო ფურცელზე გამოსაცდელმა უნდა დაწეროს რა სისწრაფეზე ტარდება საგამოცდო სამუშაო, თავისი გვარი და ინიციალები, ჯგუფის დასახელება და გამოცდის ჩატარების თარიღი.

7. გამოცდები იწყება რაიმე ტექსტის ორ-სამწუთიანი სავარჯიშო კარნახით, რაც ჩაიწერება უშტამპო ქაღალდზე, მაგრამ არ დაიშიფრება და საგამოცდო კომისიას არ ჩაბარდება.

სავარჯიშო კარნახის შემდეგ ტარდება ორი საგამოცდო ტექსტის კარნახი, მათ შორის ორი-სამი წუთის შესვენებით.

საგამოცდო ტექსტების დასაშიფვრად გაითვალისწინება გარკვეული დრო კარნახის დამთავრების მომენტიდან:

95 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ორი ტექსტისათვის 3 ასტრონომიული საათი;

105 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ორი ტექსტისათვის 2—4 ასტრონომიული საათი);

115 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ორი ტექსტი-სათვის 4 ასტრონომიული საათი).

125 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ორი ტექსტი-სათვის 4 ასტრონომიული საათი).

თვითეული ორატორის 10-წუთიანი სიტყვის ჩანაწერის ამოსაშიფვრად განსაზღვრულია ოთხი ასტრონომიული საათი.

საგამოცდო სტენოგრამა და მისი ამოშიფვრა დაწერილი უნდა იყოს ბელნით.

სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების მიზნით საგამოცდო სამუშაოს ხელმეორედ გადაწერა დაუშვებელია.

გამოსაცდელი ვალდებულია კომისიას ჩააბაროს სამუშაო იმ შემთხვევაშიც კი, როცა გრძნობს, რომ იგი შესრულებულია არადამაკმაყოფილებლად.

8. საგამოცდო ტექსტის სიტყვების დათვლა სწარმოებს უფროსი მასწავლებლის მიერ.

ამასთან:

ა) დეფისით გაყოფილი სიტყვები ცალ-ცალკე დაითვლება. მაგალითად: იდეურ-პოლიტიკური, სწავლა-განათლება. სასწავლო-აღმზრდელობითი (ორ-ორი სიტყვაა);

ბ) სიტყვების დათვლა რიცხვებით ნაწერში ხდება გამოთქმის მიხედვით. მაგალითად, ათი (10) ერთი სიტყვაა, თორმეტი ერთი სიტყვაა, ოცდა შვიდი (27) ორი სიტყვაა. ხუთი ათას თორმეტი (5012) სამი სიტყვაა;

გ) საწყისი ასოებიდან შედგენილი შემოკლებული სიტყვები დაითვლება პირობით შემდეგნაირად: სიტყვის ასოთა რიცხვი იყოფა ორზე. მიღებული განაყოფი გვიჩვენებს სიტყვათა რაოდენობას. მაგალითად, სსრკ ორი სიტყვაა. განაყოფის ნაწევრით მიღების შემთხვევაში ნახევარი ითვლება მთელ სიტყვად. მაგალითად, რსფსრ —სამი სიტყვაა.

დ) ორ და მეტ ფუძიანი რთული სიტყვები დაითვლება ფუძეების რაოდენობის მიხედვით.

საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება

9. კარნახით შესრულებული საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება ხდება გამოსაცდელთა მიერ გაშიფრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით ნაკარნახევ საგამოცდო ტექსტთან.

ორატორების სიტყვების ჩაწერაში საგამოცდო სამუშაოების შემოწმება ხდება მოსწავლეთა მიერ გაშიფრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით გაშიფრულ საკონტროლო სტენოგრამასთან, რომელიც ჩაწერილია უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სტენოგრაფების მიერ (იხ. ამ ინსტრუქციის მეოთხე პუნქტი). საეჭვო შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში შევადარებთ არა მარტო გაშიფრულ მასალას, არამედ თვით სტენოგრამასაც.

იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო სტენოგრამები არ შეესაბამება მოსწავლეთა უმრავლესობის ნამუშევრებს, სტენოგრამის განსხვავებული ადგილების სიზუსტე დადგენილ უნდა იქნეს თვით ორატორების მიერ.

10. შეცდომად ითვლება:

ა) სიტყვის გამოტოვება;

ბ) აზრის დამამახინჯებელი ზედმეტი სიტყვა;

გ) სიტყვის შეცვლა აზრის დამამახინჯებელი სიტყვით;

დ) სიტყვის არასწორი დაბოლოება;

ე) ორთოგრაფიული (მორფოლოგიური ან პუნქტუაციური) შეცდომა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არასწორი დაბოლოებანი შეთანხმებულ სიტყვებში ითვლება ერთ შეცდომად.

ს ა გ ა მ ო ც დ ო ნ ა მ უ შ ე ვ ა რ თ ა შ ე ფ ა ს ე ბ ა

11. ნამუშევარი ფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემის მიხედვით.

12. ნამუშევრები სისწრაფეზე კარნახში შეფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევარი შეფასდება ნიშნით—„5“ (ფრიადი), თუ ორსამწუთიან გაშიფვრულ ტექსტში,

95 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტესი 4 შეცდომისა;

105 „ „ „ „ „ „ 5 „

115 „ „ „ „ „ „ 5 „

125 „ „ „ „ „ „ 6 „

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„4“ (კარგი), თუ გაშიფვრულ ტექსტში,

95 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტესი 8 შეცდომისა;

105 „ „ „ „ „ „ 10 „

115 „ „ „ „ „ „ 12 „

125 „ „ „ „ „ „ 14 „

გ) ნამუშავარი ფასდება ნიშნით—„3“ (დამაკმაყოფილებელი), თუ გაშიფვრულ ტექსტში,

95 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტესი 20 შეცდომისა;

105 „ „ „ „ „ „ 23 „

115 „ „ „ „ „ „ 25 „
125 „ „ „ „ „ „ 27 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„2“ (ცუდი), თუ გამიფვრულ ტექსტში,

90 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტესი 28 შეცდომისა;

100 „ „ „ „ „ „ 30 „
115 „ „ „ „ „ „ 33 „
125 „ „ „ „ „ „ 35 „

ა) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„1“ (ძლიერ ცუდი), თუ გამიფვრულ ტექსტში,

95 სიტყვის სისწრაფეზე დაშვებულია 28 შეცდომაზე მეტი
105 „ „ „ 30 „ „
115 „ „ „ 33 „ „
125 „ „ „ 35 „ „

13. ნამუშევრები ორატორების სიტყვების ჩაწერაში ფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„5“ (ფრიადი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფვრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 8 შეცდომისა;

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„4“ (კარგი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფვრულ მასალაში დაშვებულია არ უმეტეს 15 შეცდომისა;

გ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„3“ (დამაკმაყოფილებელი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფვრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 30 შეცდომისა;

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„2“ (ცუდი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფვრულ მასალაში დაშვებულია არა უმეტეს 40 შეცდომისა;

ე) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„1“ (ძლიერ ცუდი), თუ ორატორის ათწუთიანი სიტყვის გაშიფვრულ მასალაში დაშვებულია 40-ზე მეტი შეცდომა.

ორატორის სიტყვების ჩაწერილ ორივე ნამუშევარზე წარიდგინება ეროვნული საშუალო შეფასება სტენოგრამის გამართვის (რედაქტირების) ხარისხის გათვალისწინებით.

14. ნამუშევრების შეფასებისას საგამოცდო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო რაოდენობა, არამედ შეცდომების ხარისხიც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სტენოგრაფიული და ორთოგრაფიული შეცდომები დაითვლება ცალ-ცალკე, შეფასება კი ეძლევა ორივე ხასიათის შეცდომების ჯამის მიხედვით.

კვალიფიკაციის მინიჭება

15. საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ დგება საგამოცდო უწყისი გამოსაცდელთა თვითეულ ჯგუფზე.

მხოლოდ სისწრაფეზე კარნახში გამოსაცდელი ჯგუფებისათვის უწყისში აღინიშნება გამოსაცდელთა გვარი და ინიციალები, კარნახის სისწრაფე, წყარო და ნაკარნახევი ტექსტების დასახელება ნამუშევარის შეფასება და საგამოცდო კომისიის დასკვნა კვალიფიკაციის შესახებ სტენოგრაფიაში (ფორმა № 1).

ორატორების სიტყვების ჩახაწერი ნამუშევრების შეფასება, წუთში 115 სიტყვის სისწრაფეზე კარნახით ჩაწერილი ნამუშევრების შეფასება, საბოლოო შეფასება და საგამოცდო კომისიის დასკვნა კვალიფიკაციის შესახებ სტენოგრაფიაში (ფორმა № 2).

საბოლოო შეფასებად მიიღება ორივე სახის ნამუშევრის ნიშნების ჯამი, ნაწევრიანი განაყოფის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წუთში 125 სიტყვის სისწრაფეზე კარნახით ჩაწერილი ნამუშევრების შეფასებას

16. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე სისწრაფეზე კარნახში ან ორატორების სიტყვების ჩაწერაში მიიღებენ შეფასებას—„2“, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით, შეიძლება დაშვებულ იქნენ განმეორებით გამოცდაზე იმავე საგამოცდო სესიის პერიოდში.

17. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე სისწრაფეზე კარნახში და ორატორების სიტყვების ჩაწერაში მიიღებენ „2“-ს ან ერთ-ერთ მათგანში—„1“-ს, განმეორებით გამოცდებზე არ დაიშვებიან.

18. მოსწავლეებს რომლებმაც შეასრულეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ჩააბარეს შესაბამისი გამოცდები, ენიჭებათ კვალიფიკაცია:

ა) მათ, ვინც ჩააბარა გამოცდა წუთში 95 სიტყვის სისწრაფეზე —მდივანი - სტენოგრაფი;

ბ) „ „ „ „ „ 105 სიტყვის სისწრაფეზე „ „ სტენოგრაფი;

გ) „ „ „ „ „ 115 „ „ სტენოგრაფი;

დ) „ „ „ „ „ 125 „ „ და ორატორების სიტყვების ჩაწერაში—უმაღლესი კვალიფიკაციის სტენოგრა-

ფი. კვალიფიკაციის მინიჭება ხდება კურსების საბჭოს მიერ საწერ-ავლო გეგგმით მოცემულ დანარჩენ საგნებში ჩაბარებული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მანქანაზე წერის განყოფილება

მანქანაზე წერაში გამოსაშვები გამოცდებისათვის დადგენილია სამუშაოს სამი სახე: ა) წერა სისწრაფეზე, ბ) ცხრილის გაფორმება და გ) წერილის განლაგება.

საწერ მანქანაზე სამივე სახის სამუშაოს შესასრულებლად მოცემულია 4 აკადემიური საათი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მანქანათმცოდნეობაში ტარდება განსაკუთრებული ზეპირი გამოცდა.

რესპუბლიკური კურსების მანქანაზე წერის განყოფილების საგნის მასწავლებლები ორი დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე ადგენენ მანქანაზე წერის საგამოცდო მასალას. რომელსაც ამტკიცებს კურსების დირექტორი. მუშაობა ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

წ ე რ ა ს ი ს წ რ ა ფ ე ზ ე

სისწრაფეზე მუშაობას წინ უძღვის 30 წუთიანი ვარჯიში, რასაც მოჰყვება სისწრაფის შემოწმება. სისწრაფეზე მუშაობა წარმოებს საწერ მანქანაზე დაბეჭდილი ორი სხვადასხვა ტექსტიდან.

თითოეული მასალა მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ხუთ წუთში. წერის უმცირესი სისწრაფე წუთში 150 დარტყმა (შეფასება „3"), წუთში 180 დარტყმა (შეფასება „4"), წუთში 200 დარტყმა (შეფასება „5").

200 დარტყმისა და მეტ სისწრაფეზე შესრულებული სამუშაო 0—2 შეცდომით—შეფასდება ნიშნით—„5".

200 დარტყმისა და მეტ სასწრაფეზე შესრულებული სამუშაო 3 შეცდომით—შეფასდება ნიშნით—„4".

ნამუშევარი წუთში 150 დარტყმაზე. ნაკლები სისწრაფით შესრულებული, 6 ზე მეტი შეცდომით, ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად.

მ უ შ ა ო ბ ა ც ხ რ ი ლ ზ ე

ცხრილის გასაფორმებლად მოცემულია საშუალო სირთულის ციფრობრივი მასალა $^1/_2$ გვერდის მოცულობით. ცხრილი უნდა იყოს სათანადოდ დახაზული და სწორი ხაზებით შემოფარგლული.

საწერ მანქანაზე (სამუშაოს შესრულების ვადა—45 წუთი) უშეცდომოდ შესრულებული ნამუშევარი შეფასდება ნიშნით—„5“.

თუ დაშვებულია 1—2 შეცდომა—„4“;

„ „ 3—5 „ —„3“.

ციფრების დამახინჯება ითვლება ორმაგ შეცდომად. ცხრილის გაფორმება ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად, თუ მასში 5 შეცდომაზე მეტია და შესრულების ვადა გადაცილებულია.

ცხრილის გადაბეჭდვა ხდება ხელნაწერიდან.

წ ე რ ი ლ ი ს გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა

წერილის განლაგებისათვის მოსწავლეებს ეძლევათ დაბეჭდილი ერთიანი გადაბმული ტექსტი (მოცულობით არა ნაკლებ 15 სტრიქონისა):

წერილის გასაფორმებლად ბეჭდვის დროს უნდა იყოს დაცული ტექნიკური წესები (გრამატიკული შეცდომების დაუშვებლად).

წერილი შესრულებული უშეცდომოდ, შეფასდება ნიშნით—„5“;

„ „ 1—2 შეცდომით „ „ —„4“.

„ „ 3 - 5 „ „ „ —„3“.

სამუშაო ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად,თუ მასში დაშვებულია 5 შეცდომაზე მეტი და შესრულების ვადა გადაცილებულია (ვადა 45 წუთი).

მანქანაზე წერაში საბოლოოდ იწერება ერთი ნიშანი (სამივე სახის სამუშაოს შეფასების საფუძველზე მიღებული საშუალო).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. საწერ მანქანაზე სამუშაოს შესრულების დროს არ დაიშვება: ა) გადარტყმები, ბ) ამოშლა, გ) ტექსტის მეორედ გადაწერა.

2. სამუშაო სრულდება შტამპიან ქაღალდზე.

ს ა გ ა მ ო ც დ ო ნ ა მ უ შ ე ვ რ ე ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა ს ტ ე ნ ო გ რ ა ფ ი ა ში

1. გამოსაშვებ გამოცდებზე სტენოგრაფიაში მოსწავლეები დაიშვებიან სტენოგრაფიაში საგამოცდო სისწრაფის ჩათვლისა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

2. გამოცდები უნდა ჩატარდეს ტექსტების ჩაწერასა და დაშიფვრაში პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე, ყველა სისწრაფეზე სამწუთიანი სხვადასხვა შინაარსის ერთი ტექსტის კარნახით, წუთში რუსული სექტორისათვის 85, ქართული სექტორისათვის კი 75 სიტყვის რაოდენობით.

3. წერითი სამუშაოებისათვის საგამოცდო ტექსტები შერჩევა სტენოგრაფიის კურსების უფროსი მასწავლებლის მიერ გადაეცემა განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად. დამტკიცებული ტექსტები დაბეჭდილ კონვერტში დაუბრუნდება კურსებს არა უგვიანეს სამი დღისა საგამოცდო სესიამდე და გადაეცემა საგამოცდო კომისიას ერთი საათით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

სისწრაფეზე გამოცდებისათვის შერჩეული იქნება ორი ტექსტი: ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო. სათადარიგო ტექსტის კარნახი მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ ერთ-ერთი საგამოცდო ტექსტის კარნახი დაზღვევული იყო რაიმე მიზეზით (მაგალითად, მოკარნახის მიერ საკარნახოდ გამოყოფილი ვადის გადაცილებით).

ჯგუფებში, რომლებშიც ერთდროულად ტარდება გამოცდა, ნებადართულია ერთი და იგივე საგამოცდო ტექსტის კარნახი.

4. წერითი გამოცდისათვის თვითეულ გამოსაცდელს ეძლევა ხაზიანი ქაღალდი კურსების შტამპით.

ქაღალდის სატიტულო ფურცელზე გამოსაცდელმა უნდა დაწეროს, რა სისწრაფეზე ტარდება საგამოცდო სამუშაო, თავისი გვარი და ინიციალები, ჯგუფის დასახელება და გამოცდის ჩატარების თარიღი.

5. გამოცდები იწყება რაიმე ტექსტის ორ-სამწუთიანი სავარჯიშო კარნახით, რაც ჩაიწერება უშტამპო ქაღალდზე, მაგრამ არ დაიშიფრება და საგამოცდო კომისიას არ ჩაბარდება.

სავარჯიშო კარნახის შემდეგ ტარდება ერთი საგამოცდო ტექსტის კარნახი.

საგამოცდო ტექსტის დასაშიფვრად გაითვალისწინება გარკვეული დრო კარნახის დამთავრების მომენტიდან:

85 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ერთი ტექსტისათვის) 2 ასტრონომიული საათი (რუსული სექტორისათვის).

75 სიტყვის სისწრაფეზე წუთში (სამწუთიანი ერთი ტექსტისათვის) 2 ასტრონომიული საათი (ქართული სექტორისათვის).

საგამოცდო სტენოგრამა და მისი ამოშიფვრა დაწერილი უნდა იყოს მელნით.

სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების მიზნით საგამოცდო სამუშაოს ხელმეორედ გადაწერა დაუშვებელია.

გამოსაცდელი ვალდებულია კომისიას ჩააბაროს სამუშაო იმ შემთხვევაშიც კი, როცა გრძნობს, რომ იგი შესრულებულია არადამაკმაყოფილებლად.

6. საგამოცდო ტექსტის სიტყვების დათვლა სწარმოებს უფროსი მასწავლებლის მიერ:

ამასთან:

ა)დეფისით გაყოფილი სიტყვები ცალ-ცალკე დაითვლება გალითად, იდეურ-პოლიტიკური, სწავლა-განათლება, სასწავლო-აღმზრდელობითი (ორ-ორი სიტყვაა);

ბ) სიტყვების დათვლა რიცხვებით ნაწერში ხდება გამოთქმის მიხედვით. მაგალითად, ათი (10) ერთი სიტყვაა, თორმეტი ერთი სიტყვაა, ოცდა-შვიდი (27) ორი სიტყვაა, ხუთი ათას თორმეტი (5012) სამი სიტყვაა.

გ. საწყისი ასოებიდან შედგენილი შემოკლებული სიტყვები დაითვლება პირობით შემდეგნაირად: სიტყვის ასოთა რიცხვი იყოფა ორზე, მიღებული განაყოფი გვიჩვენებს სიტყვათა რაოდენობას. მაგალითად, სსრკ ორი სიტყვაა. განაყოფის ნაწევრით მიღების შემთხვევაში ნახევარი ითვლება მთელ სიტყვად. მაგალითად, რსფსრ —სამი სიტყვაა.

დ) ორი და მეტ ფუძიანი რთული სიტყვები დაითვლება ფუძეების რაოდენობის მიხედვით.

საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება

7. კარნახით შესრულებული საგამოცდო ნამუშევრების შემოწმება ხდება გამოსაცდელთა მიერ გაშიფვრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით ნაკარნახევ საგამოცდო ტექსტებთან.

ორატორების სიტყვების ჩაწერაში საგამოცდო სამუშაოების შემოწმება ხდება მოსწავლეთა მიერ გაშიფვრული სტენოგრამის ზუსტი შედარებით გაშიფვრულ საკონტროლო სტენოგრამასთან, რომელიც ჩაწერილია უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სტენოგრაფების მიერ (ინსტრუქციის მეოთხე პუნქტი) საეჭვო შემთხვევაში შევადარებთ არა მარტო გაშიფვრულ მასალას, არამედ თვით სტენოგრამასაც.

იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო სტენოგრამა არ შეესაბამება მოსწავლეთა უმრავლესობის ნამუშევრებს, სტ-ნოგრამის განსხვავებული ადგილების სიზუსტე დადგენილ უნდა იქნეს თვით მოლაპარაკე ორატორის მიერ.

8. შეცდომად ითვლება:

ა) სიტყვის გამოტოვება;

ბ) აზრის დამამახინჯებელი ზედმეტი სიტყვა;

გ) სიტყვის შეცვლა აზრის დამამახინჯებელი სიტყვით;

დ) სიტყვის არასწორი დაბოლოება;

ე) ორთოგრაფიული (მორფოლოგიური ან პუნქტუაციური) შეცდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შეთანხმებულ სიტყვებში არასწორი დაბოლოებები ითვლება ერთ შეცდომად.

ს ა გ ა მ ო ც დ ო ნ ა მ უ შ ე ვ რ ე ბ ი ს შ ე ფ ა ს ე ბ ა

9. ნამუშევარი ფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემის მიხედვით.

10. ნამუშევრები სისწრაფეზე კარნახში შეფასდება შემდეგი შკალის მიხედვით:

ა) ნამუშევრები შეფასდება ნიშნით—„5" (ფრიადი), თუ ორსამწუთიან გაშიფვრულ ტექსტში 85 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტეს 3 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის). 75 სიტყვის სისწრაფეზე წუთში—დაშვებულია არა უმეტეს 3 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის).

ბ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„4" (კარგი), თუ გაშიფვრულ ტექსტში, 85 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტეს 6 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის);

ან 75 სიტყვის სისწრაფეზე წუთში—დაშვებულია არა უმეტეს 6 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის);

გ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„3" (დამაკმაყოფილებელი), თუ გაშიფვრულ ტექსტში 85 სიტყვის სისწრაფით წუთში დაშვებულია არა უმეტეს 15 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის).

ან 75 სიტყვის სისწრაფით წუთში—დაშვებულია არა უმეტეს 15 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის);

დ) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„4" (ცუდი), თუ გაშიფვრულ ტექსტში 85 სიტყვის სისწრაფეზე წუთში დაშვებულია არა უმეტეს 25 შეცდომისა (რუსული სექტორისათვის).

ან 75 სიტყვის სისწრაფეზე წუთში—დაშვებულია არა უმეტეს 25 შეცდომისა (ქართული სექტორისათვის).

ა) ნამუშევარი ფასდება ნიშნით—„1" (ძლიერ ცუდი), თუ გაშიფვრულ ტექსტში 85 სიტყვის სისწრაფეზე—დაშვებულია 25 შეცდომაზე მეტი (რუსული სექტორისათვის).

ან 75 სიტყვის სისწრაფეზე დაშვებულია 25 შეცდომაზე მეტი (ქართული სექტორისათვის).

11. ნამუშევრების შეფასებისას საგამოცდო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო რაოდენობა, არამედ შეცდომების ხარისხიც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სტენოგრაფიული და ორთოგრაფიული შეცდომები დაითვლება ცალ-ცალკე, შეფასება კი ხდება ორივე ხასიათის შეცდომების ჯამის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ დგება საგამოცდო უწყისი გამოსაცდელთა თვითეულ ჯგუფზე. გამოსაცდელი ჯგუფებისათვის უწყისში აღინიშნება გამოსაცდელთა გვარი და ინიციალები, კარნახის სისწრაფე, წყარო და ნაკარნახევი ტექსტების დასახელება, ნამუშევრის შეფასება და საგამოცდო კომისიის დასკვნა კვალიფიკაციის შესახებ.

13. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას - „2“, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება დაშვებულ იქნენ განმეორებით გამოცდაზე იმავე საგამოცდო სესიის პერიოდში.

14. მოსწავლეები, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ „1-ს“, განმეორებით გამოცდებზე არ დაიშვებიან.

15. მოსწავლეებს, რომლებმაც შეასრულეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ჩააბარეს შესაბამისი გამოცდები, ენიჭებათ სტენოგრაფ-მდივან-მემანქანის კვალიფიკაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გვ.

1. ბრძანება № 531—კოჯრის № 4 საბავშვო სახლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ 3

2. ბრძანება № 551—პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 5

3. ბრძანება № 560—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 7 და 26 მარტის ბრძანებების შესრულების შესახებ 12

4. ბრძანება № 573—1958—1959 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მომზადების შესრულების შესახებ 17

5. ბრძანება № 574—ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მარსის პლენუმის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სკოლებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 24

6. ბრძანება № 582—მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 26

7. ბრძანება № 585 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ 29

8. ბრძანება № 589—საქართველოს სსრ სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 36

9. ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ კურსებზე გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ 38

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი ე. აგლაძე

* * *

გადაეცა წარმოებას 11/VII 1958 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 19/IX 1958 წ.,
ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა
60×92 სასტამბო ფორმათა რაოდენობა
3,25 სტამბის შეკვ. № 546. ტირაჟი 5000

უ ფ ა ს ო

* * *

განათლების სამინისტროს სტამბა
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Тип. Министерства просвещения
ул. Уш. Чхеидзе, 19.